

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



## 15 აპრილი, “სიყვარული ტრეფიკინგის წინააღმდეგ”

15 აპრილს მუშთაიდის ბაღში საიას პროექტის  - ადამიანებით ტრეფიკინგს A ფარგლებში ქართველი მომღერლების მონაწილეობით ჩატარდა კონცერტი ლოზუნგით “სიყვარული ტრეფიკინგის წინააღმდეგ”.

ღონისძიება სიყვარულის დღის აღსანიშნავად და აგრეთვე ანტი-ტრეფიკინგული ცნობიერების ასამაღლებლად დაიგეგმა.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



კონცერტს დაახლოებით 25-30 ათასი ადამიანი დაესწრო. მსვლელობისას ესტრადის მომღერლებს ანტი-ტრეფიკინგული მესიჯებით განწყობილი კეპები და მაისურები ეცვათ.

წამყვანები და მუსიკოსები დამსწრე საზოგადოებას მოუწოდებდნენ არ გაბმულიყვნენ ტრეფიკინგის დანაშაულის მახეში და არ გამხდარიყვნენ მსხვერპლნი. ასევე შეთავაზებული იქნა უცხოეთში დასაქმების ან სწავლის შემოთავაზების მიღების შემთხვევაში გაეწვლით კონსულტაცია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ღონისძიებაზე მოსულ მსმენელებს დაურიგდათ პროექტის ფარგლებში გამოცემული მასალა - ბუკლეტები, სანიშნეები, კალენდრები. აგრეთვე თამაშდებოდა პრიზები - მაისურები და ქუდები ანტი-ტრეფიკინგული მესიჯებით.

კონცერტი დაახლოებით 5 საათს გაგრძელდა.